საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№12-1/24 „16“ მაისი 2024 წ.

საექსპერტო დასკვნა ქ. თბილისში, კამანის I ჩიხი, №1, ს/კ: №01.14.15.001.173, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილისათვის

ექსპერტიზისათვის გადმოცემულია ქალაქ თბილისში, ზემოაღნიშნულ მისამართზე, შ.პ.ს. „სბი ჰოლდინგი“-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტი.

პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზისათვის გადმოცემულია შემდეგი მასალა:

- პროექტის არქიტექტურული ნაწილი, დამუშავებული არქიტექტორების გ. მირიანაშვილისა და ა. სესიაშვილის მიერ ელექტრონული სახაზავი პროგრამა „AutoCad”-ის გამოყენებით. (ელექტრონული ვერსია).
- პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, დამუშავებული ინჟინერ-კონსტრუქტორ ნიკოლოზ არჩვაძის მიერ ელექტრონული სახაზავი პროგრამა „AutoCAD”-ის გამოყენებით A-3 ტიპის ფურცლებზე. (ელექტრონული ვერსია).
- საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა. ჩატარებული შ.პ.ს. „თბილინვესტპროექტი”-ს მიერ.

კონსტრუქციების აღწერა

საპროექტო შენობა გეგმაში მართკუთხა მოხაზულობისაა, იგი შვიდ სართულიანია, ზომები ღერძებში შეადგენს LxB=20.00x14.40 მ; შენობა კონსტრუქციულად მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშიროვანია, კავშირებად გამოყენებულია 25 სმ. სისქის სიხისტის დიაფრაგმები, ხოლო ჩარჩოს პილონების განივი კვეთებია LxB=70x40 სმ. (სამი სართული), LxB=60x40 სმ. (ორი სართული) და LxB=40x40 სმ. (ორი სართული).

სართულშორის გადახურვებად გამოყენებულია მონოლითური რკინაბეტონის ნაწილობრივ წიბოვანი (მონოლითური რიგელები) ფილები, +2.90, +18.90 და +22.10 ნიშნულებზე ფილების სისქეებია 18 სმ; ხოლო ყველა სხვა ნიშნულებზე ფილების სისქეები შეადგენს 20 სმ.-ს; ძირითადი მონოლითური რიგელების განივი კვეთებია BxH=40x60 სმ.

პირობით ნიშნულად ±0.00 მიღებულია პირველი სართულის იატაკის თავის ნიშნული, რომელიც შეესაბამება აბსოლუტურ ნიშნულს გენ.გეგმაზე 511.60.

კიბის მარშები - დახრილი, მთლიანკვეთიანი რკინაბეტონის ფილები სისქით δ=16 სმ. მონოლითური საფეხურებით.

შენობის საძირკველი წარმოადგენს ხიმინჯებისა და მთლიანკვეთიანი მონოლითური რკინაბეტონის ფილის კომბინირებულ კონსტრუქციებს, ხიმინჯის დიამეტრი 800 მმ.-ია, ხოლო როსტვერკის (რკბ. ფილა) სისქე შეადგენს h=50 სმ.-ს; რომლის ქვეშაც მოწყობილია h=10 სმ. სისქის ბეტონის მომზადება (ბეტონი კლ. B7.5).

საძირკვლის ძირის დაფუძნება განხორციელდეს ფენა №4-ზე (ქვიშაქვები არგილიტის თხელი შუაშრეებით), რომლის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები შემდეგია: სიმკვრივე P=2.42 გ/სმ³; სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე წყალში Rc=17.8 მპა; დეფორმაციის მოდული E=2000 მპა.

ქვაბულის დამუშავების შემდგომ მისი მიღება მოხდეს ინჟინერ-გეოლოგისა და საპროექტო ორგანიზაციის წარმომადგენლის მიერ.

კონსტრუქციებისათვის ბეტონის კლასი მიღებულია B25, ხოლო არმატურის კლასი A500C, A240C.

პროექტი გაანგარიშებულია ავტომატური საანგარიშო კომპლექსი ”LIRA-SAPR 2013 (R3)x64”-ის გამოყენებით, 8 ბალიან სეისმურ ზემოქმედებაზე.

კორექტირება

პროექტის ავტორების მიერ დამუშავებული კორექტირებული ვერსიის მიხედვით, პროექტმა განიცადა შემდეგი სახის კონსტრუქციული ცვლილებები, კერძოდ:

- ნიშნულზე +18.90-ზე არსებული ღერძი "2'" და მასზე განლაგებული მონოლითური სვეტები გადაადგილდა "3" ღერძის მიმართულებით 40 სმ.-ით, რის შედეგადაც ღერძებს შორის მანძილი გახდა 2200 მმ.

- ნიშნულზე +15.70 "1" და "3" ღერძების გასწვრივ დაემატა აივანი.

- ნიშნულზე +18.90 "1" და "3" ღერძების გასწვრივ მოეწყო ახალი აივანი.

დასკვნა:

პროექტის კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზისას შემოწმებული იქნა საანგარიშო მოდელი და მუშა კონსტრუქციული ნახაზები, ზემოაღნიშნული კორექტირებული ცვლილებები სრულად არის ასახული როგორც საანგარიშო მოდელში, ასევე გრაფიკულ ნაწილში. პროექტი გაანგარიშებულია და შედგენილია სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნათა სრული დაცვით, რაც უზრუნველყოფს შენობების უსაფრთხო მუშაობას საექსპლოატაციო პერიოდში მასზე მოსალოდნელი შესაძლო საანგარიშო სეისმური ზემოქმედებისას. გრაფიკული მასალა მდიდარია და იძლევა საშუალებას მაღალხარისხოვანი მშენებლობის წარმოებისათვის.

შენიშვნები

პროექტის მიმართ შენიშვნები არა გვაქვს და პროექტს რეკომენდაციას ვუწევთ განსახორციელებლად.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს
დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი /მ. საველიძე/

ტელეფონის ნომერი: +995 599 15 66 49
ელექტრონული ფოსტა: Ltdmonoliti@gmail.com